პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 64 (4574)

1972 წ. 1 აპრილი, შაბათი. ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან



# ყველა კმაყოფილი დარჩა



საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის მძლეოსნური სექტორები, სპორტთამაშების, ტანვარჯიშული და ძალოსნობის დარბაზები, 25-მეტრიანი ტირი გუშინწინ საზეიმოდ მოერთოთ. ინსტიტუტის ლექტორ-მასწავლებლები, სტუდენტთა აქტივი გულმოდგინედ წუშაობდნენ.

საასპარეზოდ ყველაფერი მზად იყო, მაგრამ ვიდრე სტუმრები მშდ ახალი კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად სარბიელს მიაშურებდნენ, ინსტიტუტის სააქტო დარბაზში თათბირი გაიმართა. შეკრებილთ ჩაბარების პირობები გააცნეს ინსტიტუტის პრორექტორმა თ. მაჩაბელმა, მძლეოსნურ სახეობებში შეჯიბრების უფროსმა მსაჯმა ა. ლაკერბაიმ, ტანვარჯიშის კათედრის გამგემ ა. ჯორჯაძემ, სპორტთამაშების კათედრის გამგემ ი. ნიკოლაიშვილმა... საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის სპორტული და მასობრივ-თავდაცვითი მუშაობის განყოფილების გამგემ რ. პოპოვამ მოასპარეზეთ წარმატება უსურვა.

ნორმატივების ჩასაბარებლად კი ამ დღეს საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით ინსტიტუტში მოვიდნენ კომკავშირული მუშაკების საკავშირო თათბირ-სემინარის მონაწილენი: კომკავშირის რაიკომების, ქალაქკომების, საოლქო კომიტეტების მდივნები — 150 ქალი და ვაჟი.

კომკავშირული მუშაკები ასაკის მიხედვით კომპლექსის მე-4 საფეხურით („ფიზიკური სრულყოფა") გათვალისწინებულ ნორმატივებს აბარებდნენ. აქ, რა თქმა უნდა, ყველა მოთხოვნას ვერ დააკმაყოფილებდნენ, ვინაიდან 19-39 წლის ფიზკულტურელებისთვის გათვალისწინებული ნორმატივები 10 პუნქტისგან შედგება, მაგრამ მაინც, საქმეს ხომ საგრძნობლად წინ წასწევდნენ.

... ასე გადაწყდა: ვინც თბილისში ამა თუ იმ ნორმატივს ჩააბარებდა, სათანადო ცნობასაც მიიღებდა. სხვა სახეობაში ნორმატივების ჩაბარებისთვის კი შინ დაბრუნების შემდეგ უნდა ეზრუნათ.

ინსტიტუტის მძლეოსნურ სექტორებზე შეჯიბრება ერთდროულად 5 ადგილზე გაჩაღდა. ზოგმა 100 მეტრზე რბენით დაიწყო, სხვებმა ბირთვის კვრა, ხელყუმბარის ტყორცნა, სიგრძეზე ან სიმაღლეზე ხტომა ამჯობინეს, მერე კი როლები იცვლებოდა. კალათბურთსა და ფრენბურთში სახელდახელოდ შექმნილმა გუნდებმა დარბაზებში ელვისებური ტურნირები გააჩაღეს...

მდივნებმა ყველაზე კარგი შედეგები სროლაში მოიპოვეს, ყველაზე ძნელად მძლეოსნობაში გაუჭირდათ. ზოგმა შესაშური ფიზიკური სრულყოფა გამოავლინა, ზოგმა ნორმატივები ერთ-ორ სახეობაში მაინც ჩააბარა, ზოგს კი ხელი მოეცარა.

პირველი, ვინც პირველივე სახეობაში ნორმატივი ოქროს სამკერდე ნიშანზე ჩააბარა, კურგანის კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მდივანი, 34 წლის ბორის ერმოლინი იყო — 100 მეტრი 12,6 წამში გაირბინა.

— თავის დროზე პირველთანრიგოსანი მოთხილამურე და მარათონელი ვიყავი, ჯანმრთელობის გასაკაჟებლად ახლაც ვვარჯიშობ. სხვანაირად არ შეიძლება, ახალგაზრდებს პირადად უნდა მივცეთ კარგი მაგალითი — თქვა მან.



... მაგრამ ერმოლინის შედეგი მალე გაიმეორეს. სტერლიტამაკის (ბაშკირეთი) კომკავშირის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა, 31 წლის ნიკოლოზ პუსტავოიტმაც 12,6 წამი აჩვენა, შემდეგში კი ხელყუმბარის ტყორცნასა (41,80) და სიგრძეზე ხტომაში (468 სმ) ნორმატივები ვერცხლის სამკერდე ნიშანზე ჩააბარა.

პერმელი კომკავშირელები ვერც თავიანთ წინამძღოლს ვლადიმერ ივანცევს უსაყვედურებენ. მანაც სამ სახეობაში ჩააბარა მშდ ახალი კომპლექსის ნორმატივები, მათგან ორში — ოქროს ნიშანზე (100 მეტრი 12,7 წამში გაირბინა და 502 სმ სიგრძეზე გადახტა), ხელყუმბარის ტყორცნაში კი (40 მ) ვერცხლის ნიშანზე.

შესანიშნავი ძალოსანი გამოდგა სვერდლოვსკელი ალექსი ლუგოვცევი. მან 120-კილოგრამიანი შტანგა აკრა, ბირთვის კვრაში კი 10,36 მეტრი აჩვენა. ორივე ეს შედეგი ოქროს სამკერდე ნიშნის ნორმატივს საგრძნობლად აღემატება.

ლუგოვცევს ტოლი არც სარატოველმა ვალერი სლეპოვმა დაუდო, ტანვარჯიშსა და სიგრძეზე ხტომაში ყველაზე კარგი მაჩვენებლები მოიპოვა. მაგალითად სიგრძეზე ხტომაში ოქროს ნიშნისთვის სლეპოვს 460 სანტიმეტრზე გადახტომაც ჰყოფნიდა, მან კი 515 სმ აჩვენა და ძირითადად თიანეთის წარმომადგენელ შ. მიდელაურთან ბრძოლაში (508 სმ) გაიმარჯვა.

და მაინც, ოქროს სამკერდე ნიშნის მოსავალი ყველაზე უხვი ტყვიის სროლაში იყო. ცეცხლის ხაზზე 21 ცვლა გავიდა (ცვლაში 4-4 კაცი შედიოდა) და არც ერთ ცვლას სარბიელი ისე არ დაუტოვებია, რომელიმეს უმაღლესი შეფასება რომ არ მიეღო. რა თქმა უნდა, ოქროს სამკერდე ნიშნისთვის ასაკის მიხედვით ზოგს 37 ქულა ჰყოფნიდა (29-39 წელი). უფრო ახალგაზრდებისთვის (19-28 წელი) კი 43 ქულა იყო საჭირო.

უქმად არც ქალები მსხდარან. მაგალითად, ვოლგოგრადის კომკავშირის ცენტრალური რაიკომის მდივანმა ა. აპარინამ ტყვიის სროლაში 38 ქულა მოაგროვა. მაგრამ ყველაზე მარჯვე მაინც სოხუმელი ჟანა ჯორჯიკია გამოდგა: ტანვარჯიშში, ხელყუმბარის ტყორცნაში, ბირთვის კვრასა და 100 მეტრზე რბენაში ნორმატივები ოქროს ნიშანზე ჩააბარა.

ზოგმა ვერაფერში გამოიჩინა თავი, მაგრამ ვისაც იმ დღეს ბედმა უმტყუნა, წინ კიდევ ბევრი დრო აქვს. მშდ ახალი კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებისთვის სათანადო მომზადებაა საჭირო. დებულება ამასაც ითვალისწინებს.

**ო. ივდოშვილი.**

* * *

სურათებზე: სიგრძეზე ხტება თელაველი ო. ლარიბაშვილი; 100 მეტრზე რბენის ერთი მომენტი. მარცხნიდან — ვ. ივანცევი, გ. გალეინოვსკი, შ. მიდელაური, ნ. პუსტავიტი.

მ. ზარგარიანის ფოტო.

# „გაზაფხულის თასზე"

თბილისში „გაზაფხულის თასის" გათამაშებით გაიხსნა რეგბის წლევანდელი სეზონი. ტურნირში მონაწილეობს თბილისის 5 კოლექტივი — „დინამო", „სპარტაკი", პოლიტექნიკური ინსტიტუტი, უნივერსიტეტი და სპორტკლუბი „სინათლე". მატჩები ფიზკულტურის ინსტიტუტის სტადიონზე მიმდინარეობს. ლიდერია „დინამო", რომელმაც 3 შეხვედრა („სპარტაკთან" — 15:6, „სინათლესთან" — 14:5 და პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან—29:0) მოიგო.

„გაზაფხულის თასის" შარშანდელი მფლობელი — „სპარტაკი" შეხვედრას იგებდა „დინამოს" გამოცდილ კოლექტივთან, მაგრამ თამაშის ბოლოსთვის ამ გუნდის წევრებს ნერვებმა უმტყუნა. მეორე შეხვედრა „სპარტაკს" „სინათლესთან" ჰქონდა და გაიმარჯვა — 29:9.

პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და უნივერსიტეტის მატჩი დამთავრდა ფრედ — 6:6.

ასპარეზობა გრძელდება.

**დ. თაქთაქიშვილი.**

* * *

სურათზე: „სპარტაკისა" და „სინათლის" შეხვედრის მომენტი.

ი. გურგენიძის ფოტო.



# 23 საკავშირო მიღწევა!

ლენინგრადში, არმიელთა სპორტკლუბის 25-მეტრიან აუზში, დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი ცურვაში გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას" პრიზზე. ასპარეზობა უხვმოსავლიანი გამოდგა საკავშირო და ეროვნული მიღწევების მხრივ. დამყარდა 23 საკავშირო რეკორდი. მიუნხენის ოლიმპიადისთვის მზადების ამ ეტაპზე შედეგები საკმარისზე მაღალი გამოდგა. ეს სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელებს იმედს აძლევს, რომ საბჭოთა სპორტსმენები XX ოლიმპიადის სარბიელზე უკეთეს მაჩვენებლებს მოიპოვებენ, ვიდრე მეხიკოში ჰქონდათ.

ჩვენ უკვე ვწერდით თბილისელი დინამოელის თ. ლეკვეიშვილის წარმატებებზე. დავსძენთ, რომ თანაქალაქელს არც ი. ლისეცკი ჩამორჩა. ტურნირში, რომელშიც ბულგარეთის, გდრ-ის, უნგრეთის, კანადის, პოლონეთის, რუმინეთის, ფინეთის, ჩეხოსლოვაკიის, შვეციისა და იუგოსლავიის სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ, თბილისის დინამოელმა 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით წინასწარ გაცურვაში საკავშირო მიღწევა დაამყარა — 16.28,1. მაგრამ ფინალში I ადგილი და რეკორდსმენობა მოსკოველმა ა. დუნაევმა დაისაკუთრა — 16.22,9.

თავისუფალი სტილით მოცურავეთა ასპარეზობაში სსრ კავშირის სპორტსმენ ქალთა შორის ნოვოსიბირსკელ ტ. ზოლოტნიცკაიას ბადალი არ ჰყავდა. იგი 200 და 400 მეტრზე წინასწარ შეჯიბრებაში რეკორდების დამყარებას არ დასჯერდა, ფინალებშიც იმარჯვა და მიღწევები საბოლოოდ შესაბამისად 2.09,3 და 4.32,9-მდე დაიყვანა.

200 მეტრზე შეჯიბრებაში ზოლოტნიცკაია ფინიშთან მხოლოდ მესამე იყო. მას აჯობეს გდრ-ის სპორტსმენებმა ე. ზემიშმა (2.07,1) და გ. ვეგნერმა (2.08,4).

ვაჟთა შორის გულაღმა ცურვაში ვერავინ აჯობა მსოფლიო რეკორდსმენს რ. მათესს (გდრ). 100 მეტრზე მისი შედეგია 56,1. ფინიშთან მეორე იყო ი. გრივენიკოვი (მოსკოვი) — 58,7, ბათუმელმა ვ. კრასკომ V ადგილი დაიკავა და საქართველოს რეკორდი გააუმჯობესა — 1.00,5. 200 მეტრზე გულაღმა შეჯიბრებაში საკავშირო მიღწევის ავტორი გახდა ლ. დობროსკოკინი — 2.07,7.

საკავშირო რეკორდების ცხრილში ორი შესწორება შეიტანა ა. სამსონოვმა (მოსკოვის ოლქი): 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მან 1.53,2 აჩვენა, შეჯიბრების ბოლო დღეს კი ამავე სტილით 400 მეტრზე ასპარეზობაში — 4.01,1.

200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში სსრ კავშირის რეკორდი დაამყარეს ნ. პეტროვამ (მოსკოვი — 2.26,3) და მ. სუხარევმა (მოსკოვი — 2.09,1). 4×100 მეტრზე კომბინირებულ ესტაფეტაში სსრ კავშირის კვარტეტმა (ი. ეფიმოვი, ვ. სტუკალოვი, ვ. ნემშილოვი, ვ. მაზანოვი) — 3.53,9 აჩვენა. ესეც საკავშირო მიღწევაა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში მთავარი პრიზი დაისაკუთრა „დინამოს" ნაკრებმა, რომელმაც 412 ქულა მოაგროვა. II ადგილზეა „ტრუდი" — 225, III — არმიელი მოცურავეები — 174.

ეროვნული ბიბლიოთეკა





# ილაპარაკეს მიღწევებზე, ნაკლზე...

გაიმართა აჭარის ფიზკულტურული აქტივის კრება, რომელსაც ესწრებოდნენ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები. კრებამ მოისმინა აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის ზ. მამუჭაძის მოხსენება: „საქართველოს სსრ 1971 წლის V საზაფხულო სპარტაკიადაში აჭარის ასსრ სპორტული დელეგაციის მონაწილეობის შედეგები და რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციების ამოცანები ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების, აგრეთვე, საქართველოსა და სსრ კავშირის ხალხთა მორიგი სპარტაკიადებისთვის მზადებაში“.

— აჭარის სპორტული დელეგაცია საქართველოს IV სპარტაკიადაში წარუმატებლად გამოვიდა — IV ადგილი დაიკავა — ამბობს მომხსენებელი: საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტმა და აჭარის მინისტრთა საბჭომ ეს საკითხი სპეციალურად განიხილეს და ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაუმჯობესების თაობაზე სათანადო დადგენილებაც მიიღეს.

ღონისძიებამ სათანადო ნაყოფი გამოიღო — V სპარტაკიადაში აჭარის სპორტულმა დელეგაციამ საფეხურით წაიწია წინ.

სპარტაკიადებს შორის განვლილ ოთხ წელიწადში მომზადდა 2 საერთაშორისო კლასის ოსტატი, 89 სპორტის ოსტატი, 138 სპორტის ოსტატობის კანდიდატი, 263 პირველთანრიგოსანი და ათასობით სხვა თანრიგების სპორტსმენი. ამჟამად აჭარაში 531 ფიზკულტურული კოლექტივია, რომლებიც 84 ათას კაცს აერთიანებენ. მეცადინეობები სპორტის 34 სახეობაში ტარდება.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მრავალდება ჩემპიონთა და პრიზიორთა რიცხვი. მეტი ყურადღება მიექცა არსებულ სპორტულ ნაგებობათა კეთილმოწყობას. დღითი დღე იზრდება საწარმოო ტანვარჯიშში მომეცადინეთა რაოდენობა. რეგულარულად ტარდება ტურისტული ლაშქრობები, შეჯიბრებები თევზაობაში, ნადირობაში, ტურიზმში და ორიენტირებაში, საშუალო ასაკისა და ხანდაზმული მუშა-მოსამსახურეებისთვის.

შარშან კარგად იმუშავეს ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის, ხის დამამუშავებელი კომბინატის, პედაგოგიური ინსტიტუტის, ნავთობგადასატვირთი ბაზის, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ წინსვლის კოლმეურნეობის, ჩაქვის ავტოსატრანსპორტო საწარმოს, ბათუმის 1-ელი, მე-3, მე-5, მე-7, მე-15, მე-20 საშუალო სკოლების, ჩაქვის რუსული საშუალო სკოლის ფიზკულტურულმა კოლექტივებმა.

კრებაზე ითქვა, რომ სამწუხაროდ, ჯეროვნად არ ესმით ამ დიდი სახელმწიფოებრივი საქმის მნიშვნელობა და როლი ბათუმის სამკერვალო ფაბრიკის, გემსაშენი, ელექტრომექანიკური, ხილეულის წყლებისა და ლუდის ქარხნების, ხორცკომბინატის, სალიბაურის, გონიოს, ჩაქვის ჩაის ფაბრიკების, ბათუმის მე-2, მე-6, მე-9, მე-12, 25-ე საშუალო სკოლების, ბათუმისა და ქობულეთის პროფტექნიკური სასწავლებლების, მედიცინის, სახელმწიფო დაწესებულებათა, სამომხმარებლო და საბჭოთა ვაჭრობის მუშაკთა პროფკავშირების კოლექტივებში. ბათუმის სავაგონო დეპოში კი მუშაობა სრულიად ჩაშლილია.

არასახარბიელო მდგომარეობაა ხულოს რაიონის სოფლების ოქტომბრის, ქედლების, ირემაძეების, ცინარეთის, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურისა და ქობულეთის რაიონების მთელ რიგ კოლექტივებში.

კამათში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა რ. ნიჟარაძემ, ხულოს მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ლ. რიჟვაძემ, „სპარტაკის“ აჭარის საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ ე. ჯოჯუამ, ბათუმის ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ ე. თხილაიშვილმა, „ვოდნიკის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ ვ. იორაშვილმა, „კოლმეურნის“ აჭარის საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ თ. ბოლქვაძემ, ხელვაჩაურის რაიონის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ნ. ბახტაძემ, აჭარის განათლების მინისტრმა ვ. წულუკიძემ, საქართველოს ალკკ აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა რ. სარიშვილმა და აჭარის პროფსაბჭოს მდივანმა გ. კიკნაძემ.

კრებაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ლ. სანაძე.

ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. თხილაიშვილმა.

კრებამ მიიღო რეზოლუცია.

**ო. მურვანიძე.**
(ჩვენი კორ.).

ბათუმი.

# ჩემპიონატი დაუთმელი სტარტებით

უმაღლესი ლიგის წყალბურთელთა გუნდების წლევანდელმა ჩემპიონატმა სტარტი თბილისსა და ვოლგოგრადში აიღო. გათამაშებაში მონაწილე 10 გუნდი ორ ჯგუფად გაიყო. თბილისის ტურში გამოდიან სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბის (მოსკოვი), თბილისის, კიევის, ალმა-ათის დინამოელები და ლენინგრადის „ბალტიკა“. ვოლგოგრადში თამაშობენ: მოსკოვის „დინამოს“, „ტორპედოს“, უნივერსიტეტის, კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის (ბაქო) და ვოლგოგრადის „სპარტაკის“ კოლექტივები. შემდეგ ათივე გუნდი თავს მოიყრის კიევში, სადაც დამთავრდება გათამაშების პირველი წრე. საკავშირო ჩემპიონატი ოქტომბერში განახლდება ალმა-ათისა და ბაქოს საწყლოსნო აუზებში, ხოლო დასკვნითი ტური მოსკოვში გაიმართება.

თბილისის ტურის მატჩები გახსნეს ალმა-ათის „დინამოსა“ და ლენინგრადის „ბალტიკის“ წყალბურთელებმა. შეხვედრის პირველივე წუთებიდან მდგომარეობის ბატონ-პატრონნი გახდნენ ალმაათელი წყალბურთელები, რომლებიც მეორე პერიოდისთვის ორი ბურთის სხვაობით დაწინაურდნენ. მატჩის ბედი თითქოს უკვე გადაწყვეტილი იყო; რადგან თანაბარი სიძლიერის კოლექტივების შეხვედრისას ორი ბურთის სხვაობას გადამწყვეტი თუ არა, დიდი მნიშვნელობა მაინც აქვს. მაგრამ ასე არ მოხდა. ლენინგრადელებმა მესამე პერიოდში მეტი მონდომებით ითამაშეს და ბოლო პერიოდისთვის ანგარიში ფრე იყო — 4:4. თითქოს მეტოქეებს თითო ქულა უნდა ჩაეწერათ გათამაშების ცხრილში, რომ მატჩის დამთავრებამდე 2 წამით ადრე „ბალტიკამ“ შეძლო გამარჯვების გოლის გატანა — 5:4.

როცა მინსკელმა მსაჯმა ნ. სახუკევიჩმა სათამაშოდ მოსკოვისა და თბილისის გუნდები გამოიძახა, ტრიბუნებზე შეკრებილი მაყურებლები დარწმუნდნენ, რომ დინამოელებს ძალიან გაუჭირდებოდათ მეტოქესთან თამაში. საქმე ისაა, რომ ჩვენი რესპუბლიკის გუნდში აგერ მეორე წელია თაობათა ცვლა ხდება, კოლექტივიდან წავიდნენ ის მოთამაშეები (მიმინოშვილი, წიკლაური, ოჩიგავა), რომლებიც „დინამოს“ მთავარ დამრტყმელ ძალას წარმოადგენდნენ და მათი ადგილი ახალგაზრდებმა დაიკავეს. მოსკოველებს სათქმელად ისიც ეყოფოდათ, რომ შარშანდელი ჩემპიონები არიან და გუნდის ბევრი მოთამაშე სსრ კავშირის ნაკრების კანდიდატია. ასეა თუ ისე, ჩვენს დინამოელებს ყველაფერი უნდა ეღონათ, რომ თავიანთი თაყვანისმცემლებისთვის იმედის ნაპერწკალი გაეღვივებინათ.

მატჩი იმით დაიწყო, რომ თბილისელ მცველთა შეუთანხმებლობით კარგად ისარგებლა მოსკოველმა ელისეევმა და ანგარიში გახსნა. სულ ცოტა ხნის შემდეგ დინამოელებმა მრავალსვლიანი კომბინაცია გაითამაშეს და სანაძემ უძლიერესი დარტყმით შეძლო ანგარიშის გათანაბრება — 1:1. პირველი პერიოდის ბოლოს ჩვენმა წყალბურთელებმა ოდნავ მოადუნეს ყურადღება. ამის შედეგად უმეთვალყუროდ დარჩა შიდლოვსკი, რომელმაც ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე შეძლო თავისი გუნდის დაწინაურება — 2:1.

მეორე პერიოდში მხოლოდ ერთი ბურთი გავიდა: აკიმოვმა ზუსტად ტყორცნა 4-მეტრიანი საჯარიმო.

მესამე პერიოდში ანგარიში ორჯერ შეიცვალა, ისიც 4-მეტრიან საჯარიმოთა წყალობით. ჯერ ისელიძემ ანგარიშში სხვაობა მინიმუმამდე დაიყვანა, ხოლო შემდეგ შიდლოვსკიმ კვლავ ორი გოლით დააწინაურა თავისი გუნდი — 4:2.

დასკვნითს პერიოდში თავი ისევ ისელიძემ ისახელა, როცა მოსკოველ მცველთან ორთაბრძოლაში ძლიერად და ზუსტად ტყორცნა. მატჩის ბოლომდე დინამოელებს შეეძლოთ ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ ერთ მომენტში ოდნავ იჩქარეს, ეს ბოლო შესაძლებლობაც დაიკარგა და ჩვენი გუნდი დამარცხდა — 3:4.

არ შეიძლება იმის თქმა, რომ თბილისის „დინამომ“ უბრძოლველად დაუთმო 2 ქულა ჩემპიონს. არა. ეს იყო ასე თუ ისე თანაბარი ძალის მეტოქეთა მატჩი. მაგრამ ჩვენს წყალბურთელებს ერთი რამ მაინც უნდა ვუსაყვედუროთ: უზუსტო გადაცემების წყალობით ხშირად კარგავდნენ ბურთს. სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბის გუნდთან თბილისის „დინამოს“ მატჩმა იმედი მაინც მოგვცა. თბილისელთა ახალგაზრდული შემადგენლობა მრისხანე მეტოქეებთან შეხვედრებში უფრო გამოიწრთობა, დასტატდება და მეტს შეძლებს.

**ზ. ჯანდიერი.**

* * *

სურათებზე: მარცხნივ — ვ. სანაძის ზუსტი ტყორცნის შემდეგ ბურთი გადის მოსკოველთა კარში. ალმა-ათის „დინამოსა“ და ლენინგრადის „ბალტიკის“ შეხვედრის მომენტი.

მ. ზარგარიანის ფოტოები.

* * *

ვოლგოგრადშიც ორი შეხვედრა გაიმართა. მოსკოვის „დინამომ“ დაამარცხა თანაქალაქელი ტორპედოელები — 7:4, ხოლო მოსკოვის უნივერსიტეტმა — კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის (ბაქო) გუნდი — 6:5.

## თბილისის სპორტული [illegible]

**წყალბურთი.** ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის ზამთრის საცურაო აუზი. „ა“ კლასის გუნდების საკავშირო ჩემპიონატი. **დღეს:** „დინამო“ (ალმა-ათა) — „დინამო“ (კიევი), „ბალტიკა“ (ლენინგრადი) — სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბი (მოსკოვი). დასაწყისი 19 ს. 30 წ.

# თუ კომკავშირელებმა მოინდომეს...

## ფიზკულტურის კოლექტივებში

თელავის წინდების ფაბრიკის ფიზკულტურის მეთოდისტი ნ. ჩუბინიშვილი საქმეზე გულით მიჯაჭვული ბიჭია. იმთავითვე გაეცნო შრომის პროცესს, დინჯად და დაკვირვებით შეიმუშავა საწარმოო ტანვარჯიშის კომპლექსი. გამოცდილმა მუშაკებმა ჩინაფიქრი მოიწონეს თუ არა, ყველაზე ხალხმრავალ „აუდიტორიას“ — საქსოვგადამკერ საამქროს მიაკითხა. უბნის უფროსმა ნ. მაისურაძემ გზა დაულოცა.

ერთ წარმატებას მეორე მოჰყვა. კომკავშირის კომიტეტის მდივნის, მძლეოსნობაში სპორტის ოსტატობის კანდიდატ გ. ბუცხრიკიძისა და ნ. მაისურაძის ხელშეწყობით „ქუდზე კაცი გამოვიდა“ — დაიწყო კომკავშირული შაბათობები. ამიერიდან დირექტორის კაბინეტში გამართულ თათბირებზე საწარმოო საკითხებთან ერთად ფაბრიკის ტერიტორიაზე კომპლექსური სპორტული ბაზის მშენებლობის დაჩქარების შესახებაც მსჯელობდნენ. მიზანს რომ მიაღწიეს, ახალგაზრდები მონდომებით შეუდგნენ ვარჯიშს ფეხბურთში, ფრენბურთში, კალათბურთში, მძლეოსნობაში... კომკავშირის კომიტეტის საქმეში ჩარევით (ორგანიზაცია 350 წევრს ითვლის) უფრო ხალხმრავალი გახდა ძალოსნობის, სროლის, მაგიდის ჩოგბურთის, ტურიზმის, ჭადრაკისა და შაშის სექციები. ზეიმით ჩატარდა შიდასაკოლექტივო პირველობები.

ო. გიორგელაშვილი, ნ. ნადირაშვილი, ს. ფიცხელაური, ს. ღლაშვილი, ნ. დემჩენკო, თ. ჩერნოხოცკი, მ. გაგნიძე, გ. ბუცხრიკიძე და სხვები ახლა კოლექტივის ღირსებას იცავენ რაიონის ნაკრებ გუნდებში. ფაბრიკაში ისინი სექციებსაც ხელმძღვანელობენ. საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობის კარგ მაგალითს იძლევიან რაიონული საბჭოს დეპუტატი ლ. მანოშვილი (იგი ხელბურთელ ქალთა გუნდს უდგას სათავეში) და მუშათა სიკეთილდღეობის... კომიტეტის თავმჯდომარე ც. ქითიძე, რომელიც დასვენების დღეებში ყადორის, ცივგომბორის თუ შუამთის თვალწარმტაცი ბილიკებისკენ მიუძღვის ტურისტებს.

დღეს ამ კოლექტივს განთიადელთა შორის ბადალი არა ჰყავს რაიონში, საერთო პირველობებში კი მხოლოდ მოსწავლეთა ნაკრებს უთმობს ლიდერობას. ფაბრიკის ბიჭებს ძალიან უყვართ ფეხბურთი. ამიტომაც წლეულს გადაწყვეტილი აქვთ გზა გაიკვლიონ რესპუბლიკურ სარბიელზე. შარშან მათი შეფობით თელავის „ჭადარმა“ რესპუბლიკური პირველობა მოიგო „ტყავის ბურთის“ პრიზზე უმცროს ასაკში.

... კლუბში ნემსი არ ჩავარდება. ეკრანზე უჩვენებენ ფიზკულტურის კოლექტივის ცხოვრების ამსახველ ეპიზოდებს. ეს კინომატიანე, რომელიც კომკავშირის კომიტეტის თაოსნობით იქმნება, მხოლოდ ისტორიისთვის განკუთვნილი კადრები როდია. ფაბრიკის 900-კაციან კოლექტივში დღეს იგი წარმატებით ეწევა ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდას.

თაოსნებს კი საზრუნავი არ ელევათ. ისინი ყოველდღიურად ხვდებიან ერთმანეთს, ბჭობენ, თათბირობენ, რომ ფაბრიკის ხვალინდელი დღე უფრო ხალისიანი და ლამაზი გახდეს.

**თ. გაჩეჩილაძე.**
(ჩვენი სპეც. კორ.).

თელავი.



# მონაწილეობდა 15 კოლექტივი

ჩატარდა ფოთის საქალაქო პირველობა კროსში გაზეთ „პრავდის“ პრიზზე. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 15 კოლექტივის 500-მდე სპორტსმენი. ისინი სამ ქვეჯგუფად დაიყვნენ.

პირველ ჯგუფშიასპარეზობდნენ სპეციალური სასწავლებლების სპორტსმენები. აქ წარმატება წილად ხვდა გ. გეგეჭკორის სახელობის ჰიდრომელიორაციული ტექნიკუმის გუნდს. მეორე ჯგუფში საწარმოებისა და დაწესებულებების კოლექტივები გამოდიოდნენ. ყველას „ეოთვაჭრობის“ წარმომადგენლებმა აჯობეს.

მესამე ჯგუფში გამარჯვებისთვის საშუალო სკოლების სპორტსმენები იბრძოდნენ. პირველობა მე-4 სკოლის გუნდმა მოიპოვა.

გოგონათა შორის 500 მეტრზე რბენა მოიგო ნ. სიორიძემ (მე-7 საშუალო სკოლა). 1000 მეტრზე თავი ისახელა ნ. ტურინამ (პროფტექნიკური სასწავლებელი).

ვაჟებში 1000 მეტრზე პირველობა არავის დაუთმო მე-10 საშუალო სკოლის მოსწავლემ ზ. გაბუნიამ. 2000 მეტრზე რბენაში ზ. ჩაბავამ (მე-4 საშუალო სკოლა) გაიმარჯვა.

**გ. ბასილაია.**
(ჩვენი კორ.).

ფოთი.




# 1 : 1

სოფია, 29 მარტი. აქ გაიმართა ბულგარეთისა და სსრ კავშირის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები გუნდების ამხანაგური შეხვედრა.

მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1. ანგარიში გახსნეს მასპინძლებმა (პონევი, 78-ე წუთი), ხოლო საპასუხო გოლი 2 წუთის შემდეგ გაიტანა კოლოტოვმა.

საბჭოთა ნაკრები ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: რუდაკოვი, ძიძუაშვილი, ხურცილავა, კაპლიჩნი, ისტომინი (მატვიენკო), კოლოტოვი, დოლმატოვი, გუცაევი, კოჟემიაკინი, ფედოტოვი, იშტოიანი (მუნტიანი).

# საერთაშორისო მატჩები

გაიმართა მსოფლიოს მომავალი საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი პორტუგალიისა და კიპროსის გუნდებს შორის.

პორტუგალიელებმა ანგარიშით 4:0 (2:0) დაამარცხეს მეტოქე.

ბუდაპეშტში შედგა ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და უნგრეთის ნაკრებ გუნდებს შორის. ანგარიშით 2:0 გაიმარჯვეს გფრ-ის ფეხბურთელებმა.

# ცვლილებანი კალენდარში

სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატი ჯერ არ დაწყებულა, კალენდარში კი უკვე ცვლილებებია.

იმასთან დაკავშირებით, რომ მოსკოვის დინამოელები გავიდნენ ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის ნახევარფინალში, მათი 2 შეხვედრა გადატანილია.

4 აპრილის მატჩი ერევნის „არარატსა" და მოსკოვის „დინამოს" შორის შედგება კალენდარში გათვალისწინებულ ერთ-ერთ სარეზერვო დღეს და გამოცხადდება მოგვიანებით.

თბილისის „დინამო" თავის მინდორზე მოსკოვის დინამოელებს შეხვდება არა 8, არამედ 10 აპრილს.

# ტორპედოელები ემზადებიან

ქუთაისის „ტორპედოს" ფეხბურთელთა კოლექტივი ნაყოფიერად ემზადება საკავშირო გათამაშებისთვის. ამ დღეებში ქუთაისელებმა საკუთარ მინდორზე 2 საწვრთნელი მატჩი ჩაატარეს. პირველად მათ მიიღეს მინსკის „დინამო" და ფრედ დაამთავრეს შეხვედრა — 1:1. ანგარიში გახსნა ტორპედოელმა ამბარცუმიანმა, ხოლო საპასუხო ბურთი გაიტანა ლომაკინმა. შემდეგ ქუთაისელები შეხვდნენ ლენინგრადის „ზენიტს" და წარმატებას მიაღწიეს: ლენიოვის მიერ 43-ე წუთზე გატანილი ბურთი ერთადერთი აღმოჩნდა — 1:0. ამ მატჩში ქუთაისელები ასეთი შემადგენლობით გამოდიოდნენ: კავაზაშვილი, წვერავა, რეხვიაშვილი, პეტროვი, მირონოვი, ქოლაძე (ჩახუნაშვილი), ლენიოვი, ჯ. სილაგაძე, ზ. სილაგაძე (მაზიაშვილი), ხერხაძე, ზადიკაშვილი (ფესტვენიძე).



ფეხბურთის მრავალი მოყვარული დაესწრო ამხანაგურ მატჩს სოხუმში ადგილობრივ „დინამოსა" და შარშანდელი საკავშირო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორს — ერევნის „არარატს" შორის.

სოხუმელებმა მონდომებით, ენერგიულად ითამაშეს და დამსახურებულ გამარჯვებასაც მიაღწიეს — 3:2. დინამოელთაგან 1 ბურთი გაიტანა ზარიამ, ხოლო 2 — ტროიანმა. სტუმართა მხრივ გოლების ავტორები იყვნენ მარქაროვი და უნანოვი.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სოხუმის „დინამოს" მეკარის თ. გაბულიას შესანიშნავი თამაში. მან არაერთხელ იხსნა თავისი გუნდის კარი აშკარა გოლისგან და, ამას გარდა, მოიგერია ე. მარქაროვის მიერ დარტყმული პენალტი.

სურათზე: მატჩის მომენტი. გ. იაშვილის ტექსტი და ფოტო.

# თბილისის სპორტულ ბაზებზე

ფეხბურთი. საქართველოს პირველობა. I ჯგუფი. 1 აპრილი. ასკ-ს სტადიონი. ასკ (თბილისი) — „ეგრისი" (ცხაკაია). დასაწყისი 11 ს. „ისნის" სტადიონი. „ისანი" (თბილისი) — „ივერია" (ხაშური). 12 ს. II ჯგუფი. 2 აპრილი. აეროპორტის სტადიონი. „შევარდენი" (თბილისი) — „მესხეთი" (ახალციხე). 15 ს. მოზარდთა რესპუბლიკური ჩემპიონატი. 2 აპრილი. ასკ-ს სტადიონი. განათლების განყოფილება (თბილისი) — „ავაზა" (თბილისი). 14 ს. „ისნის" სტადიონი. „გантიადი" (თბილისი) — „დინამო" (თბილისი). 14 ს. ფიზკულტურის ინსტიტუტის სტადიონი. მწვრთნელთა სკოლა (თბილისი) — „დინამო" (ბათუმი). 14 ს. გლდანის სტადიონი. „სპორტინტერნატი" (თბილისი) — „დილა" (გორი). 15 ს.

სსრ კავშირის ჩემპიონატი

# ორკვირიანი შესვენების შემდეგ




კაუნასი, 31 მარტი. ორკვირიანი შესვენების შემდეგ გუშინ აქ განახლდა კალათბურთელ ვაჟთა XXXIX საკავშირო ჩემპიონატი. მესამე წრის მატჩები (ეს წრე 9 აპრილს დამთავრდება ვილნიუსში) საბოლოო სიცხადეს შეიტანს სატურნირო ცხრილში და გამოავლენს როგორც ჩემპიონატის პრიზიორებს, ისე იმ ორ აუტსაიდერს, რომელთაც უმაღლესი ლიგის დატოვება მოუხდებათ.

გუშინდელმა შეხვედრებმა ლიდერთა მდგომარეობა უცვლელი დატოვა. ცსკა-მ დიდი უპირატესობით მოუგო კიევის „სტროიტელს", რომელიც, 10 წაგების მიუხედავად, ჯერჯერობით III საპრიზო ადგილზეა. არმიელებმა მოიგეს პირველი ტაიმი (39:31), შესვენების შემდეგ მოსალოდნელი იყო მძაფრი ბრძოლა და „სტროიტელმა" თავბრუდამხვევი შეტევებიც წამოიწყო, მაგრამ მას ბოლომდე არ ეყო ენერგია: ცსკა-მ მოიგერია პირველი შტურმი, მერე კი ნელ-ნელა თავისი უპირატესობის რეალიზაციას შეუდგა. ლიდერმა მორიგი ქულა ჩაიწერა სატურნირო ცხრილში — 82:63.

წარმატებით გადაჭრა ამოცანა მეორე ლიდერმა — ლენინგრადის „სპარტაკმაც". ნევისპირელებმა მეორე ტაიმში გატეხეს მოსკოვის „დინამოს" შეუპოვრობა და გაიმარჯვეს ანგარიშით 70:57.

დაძაბული, შეუპოვარი ბრძოლით აღინიშნა თბილისის „დინამოსა" და „ბურევესტნიკის" შეხვედრა. ბურევესტნიკელებისთვის ყოველ ქულას არსებითი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ ისინი მთელი მონდომებით იბრძვიან. მაგრამ, როგორც ჩანს, თავს ზემოთ ძალა არ არის. პირველი ტაიმის მიხედვით ძნელი იყო გამარჯვებული კოლექტივის დასახელება. „დინამომ", მართალია, მოიგო 20 წუთი, მაგრამ ორქულიანი სხვაობა (40:38), რა თქმა უნდა, საბოლოო წარმატების გარანტიას არ იძლეოდა. შეხვედრის ბედი ფაქტიურად მეორე ტაიმში გადაწყდა. „დინამო" უფრო ზუსტად და გამიზნულად მოქმედებდა და გამარჯვებაც მას დარჩა — 75:65.

კიევის არმიელებმა კიდევ ერთი ქულა ჩაიწერეს სატურნირო ცხრილში. ისინი კარგა ხანია მოსწყდნენ აუტსაიდერებს და ახლა სავსებით სამართლიანად აცხადებენ პრეტენზიას III საპრიზო ადგილზე. რა მოხდა ასე მოკლე დროში? როგორ გარდაიქმნა გუნდის საბრძოლო სული ასე უეცრად? ძნელი გასაგებია. როგორც ჩანს, სვერდლოვსკის „ურალმაშიდან" ახალგაზრდა დვორნის გადაყვანამ გუნდი აღმავლობის გზაზე დააყენა. ერთი სიტყვით, უკრაინელთა ბოლო მატჩები ამ ჩემპიონატის ერთ-ერთი გამოცანაა.

გუშინ კიევის ასკ-მ დაამარცხა ტარტუს „კალევი", დაამარცხა საკალათბურთო ხელოვნების ყველა პუნქტში, დამაჯერებლად. უკრაინელებმა გამარჯვებისთვის საჭირო ქულები პირველივე ტაიმში დააგროვეს — 39:26. შესვენების შემდეგ ინიციატივა ესტონელთა მხარეს გადავიდა, მაგრამ ადრინდელი მარაგი კიევის გუნდს, ცხადია, ეყო — 84:76.

კაუნასის „ჟალგირისმა" შედარებით იოლად მოუგო ვილნიუსის „სტატიბას" — 87:75.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 31 მარტისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 19 | 18 | 1 | 1607—1315 | 18 |
| „სპარტაკი" (ლენინგრადი) | 19 | 18 | 1 | 1338—1176 | 18 |
| „სტროიტელი" (კიევი) | 19 | 9 | 10 | 1356—1328 | 9 |
| ასკ (კიევი) | 19 | 9 | 10 | 1282—1385 | 9 |
| „დინამო" (თბილისი) | 19 | 9 | 10 | 1446—1493 | 9 |
| „კალევი" (ტარტუ) | 19 | 8 | 11 | 1370—1425 | 8 |
| „ჟალგირისი" (კაუნასი) | 19 | 8 | 11 | 1425—1415 | 8 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 19 | 7 | 12 | 1383—1387 | 7 |
| „ბურევესტნიკი" (თბილისი) | 19 | 5 | 14 | 1283—1368 | 5 |
| „სტატიბა" (ვილნიუსი) | 19 | 4 | 15 | 1308—1516 | 4 |

# საპასუხო მატჩი — 6 აპრილს

რიგა, 31 მარტი. გუშინ აქ ჩატარდა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველი ფინალური მატჩი ადგილობრივი ტტტ-სა და პრაღის „სპარტაკ"-ჩკდ კალათბურთელ ქალთა გუნდებს შორის. სტუმრებმა ძლიერ მეტოქეს წინააღმდეგობა გაუწიეს მხოლოდ პირველ ტაიმში — 25:32. შემდგომში ლატვიელთა უპირატესობა აშკარა იყო: მათ გაიმარჯვეს — 80:59.

საპასუხო მატჩი გაიმართება 6 აპრილს პრაღაში.

# ვ. ჯაფარიძე და რ. ხომერიკი ათეულში

სსრ კავშირის კალათბურთის ფედერაციამ დაამტკიცა სსრ კავშირის საუკეთესო არბიტრთა სია შარშანდელი სეზონის მიხედვით. უნდა აღინიშნოს, რომ ათეული მუდამ ანბანის მიხედვით დგება და ამიტომაც სიაში ყველა თანაბარი უფლებით სარგებლობს.

ათეულში შევიდა 4 მოსკოველი არბიტრი, 2 თბილისელი და თითო მსაჯი ლენინგრადიდან, ტალინიდან, ვილნიუსიდან და ყაზანიდან.

აი, როგორ გამოიყურება საუკეთესო არბიტრთა სია: ს. აფანასიევი (ლენინგრადი), ი. იანკაუსკასი (ვილნიუსი), თ. კამიშევი, ვ. კასატკინი (ორივე — მოსკოვი), ა. კიაბი (ტალინი), ა. კოკორევი, გ. კოსტინი (ორივე — მოსკოვი), გ. მუხამეძიანოვი (ყაზანი), რ. ხომერიკი, ვ. ჯაფარიძე (ორივე — თბილისი).

# ახალი ამბები

● მურმანსკი, 30 მარტი. აქ გამართულ მოთხილამურეთა საკავშირო ჩემპიონატში კიდევ ერთი გამარჯვება მოიხვეჭა ი. სკობოვმა. ამჯერად იგი პირველი იყო 15-კილომეტრიან დისტანციაზე — 45.55,75. 4×10 კმ ვაჟთა ესტაფეტაში გაიმარჯვა „დინამოს" ნაკრებმა, რომელსაც მეთაურობდა ოლიმპიური ჩემპიონი ვ. ვედენინი.

● ოპერჰაუზენი, 30 მარტი. გფრ-ის ამ ქალაქის სტადიონზე მოწყობილ მძლეოსანთა შეჯიბრებაში დ. ვიპერმანმა ბადრო 62,98 მეტრზე ტყორცნა. ეს შედეგი ჯერჯერობით საუკეთესოა ოლიმპიურ სეზონში ევროპაში და მესამე მსოფლიოში.

● სან-დიეგო, 30 მარტი. ამერიკელ მძლეოსანთა ასპარეზობაში ფ. ნიუჰაუზმა 200 მეტრის გარბენას 20,4 წამი მოანდომა. სმითმა ჭოკით ხტომაში 529 სმ აჩვენა. სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტის გუნდის შედეგი 4×100 მეტრზე დისტანციაზე 39,8 წამს უდრის.

● კანი, 30 მარტი. საფრანგეთის ამ ქალაქში სტარტი აიღო ჭაბუკ ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირმა, რომელშიც გამოდიან ბრაზილიის, ინგლისის, იუგოსლავიის, საფრანგეთის, სსრ კავშირის, პორტუგალიის გუნდები. სსრ კავშირის ნაკრები ეთამაშა ადგილობრივ გუნდს და დაამარცხა იგი ანგარიშით 5:0. ბრაზილიის ნაკრებმა მოუგო პორტუგალიის კოლექტივს — 3:1.

● მადრიდი, 30 მარტი. ესპანეთის დედაქალაქში დაიწყო იუნიორ მოფარიკავეთა მსოფლიო ჩემპიონატი, რომელშიც 33 ქვეყნის 250-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობს. სსრ კავშირის სპორტულ ღირსებას იცავს ერთადერთი სპორტსმენი — სარატოველი ა. კომარი. ჩემპიონატი 3 აპრილამდე გასტანს.

● ტამპერე, 30 მარტი. ფინეთში სტუმრად იმყოფება სსრ კავშირის ჰოკეისტთა ნაკრები გუნდი. პირველ მატჩში საბჭოთა ჰოკეისტები აქ ფინეთის ნაკრებს შეხვდნენ და გაიმარჯვეს — 3:1. მეორე მატჩში ქვეყნის ნაკრებთან გამარჯვება კვლავ საბჭოთა ჰოკეისტებს დარჩათ — 5:3.

● მერანო, 30 მარტი. იტალიის ამ ქალაქში ჩატარდა 14 ქვეყნის გოგონათა საერთაშორისო შეჯიბრება ფიგურულ ციგურაობაში. გაიმარჯვა გფრ-ის წარმომადგენელმა დ. ლურცმა — 860,2 ქულა. II ადგილზე გავიდა ჰოლანდიელი ს. ფერლაანი — 847,7, ხოლო III — ჩეხოსლოვაკიელი ე. შტოლფოვა — 836,4.

● რიჩმონდი (აშშ), 30 მარტი. ვირჯინიის შტატის ამ ქალაქის „კოლიზეუმის" დარბაზში დამთავრდა ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ამერიკელები კინგი და რიჩი. გაიმარჯვა პირველმა — 6:3, 6:4. III ადგილისთვის ბრძოლაში ავსტრალიელმა მელვილმა სძლია ამერიკელ კაზალსს — 6:1, 6:4. წყვილთა თანრიგში კინგმა და კაზალსმა დაამარცხეს ავსტრალიელები დალტონი და კრანცკე — 7:5, 7:6.

ახალი ამბები

# „სპორტლოტოს" მორიგი ტირაჟი

ოდესა, 30 მარტი. აქ გაიმართა „სპორტლოტოს" მორიგი ტირაჟი. იღბლიანი გამოდგა შემდეგი ნომრები: 25 (თხილამურები), 29 (საპარაშუტო სპორტი), 35 (სპიდვეი), 45 (ფეხბურთი), 46 (ჰოკეი), 48 (ჭადრაკი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წინსვლის ნაბიჯები

ამ ბოლო ხანს წალენჯიხის „კოლმეურნის" რაიონულმა საბჭომ დიდი ორგანიზაციული მუშაობა ჩაატარა სოფლად სპორტის მასობრივად დანერგვისთვის. ახლა უკვე ყველა კოლმეურნეობას ჰყავს ფიზკულტურის ინსტრუქტორ-მეთოდისტი, რომელთა უნარიან მუშაობაზე დამოკიდებული იქნება სპორტში სოფლის ახალგაზრდობის მასობრივად ჩაბმა და სხვადასხვა სახეობის დანერგვა. საბჭომ შეიმუშავა ვრცელი სამოქმედო პროგრამა. რაიონში წლეულს პირველად მოეწყო მეჩაიე ქალთა სპარტაკიადა. ასევე პირველად გამართება შეჯიბრება სპორტულ თევზაობაში. ფართო პროგრამით ჩატარდება სოფლის მეურნეობის მუშაკთა სპარტაკიადა. გათამაშდება „მწვანე ოქროს" ოსტატის პრიზი. ამ პრიზის მფლობელი გახდება ის, ვინც მეტ ქულას დააგროვებს ჩაის მკრეფავთა შორის. გამარჯვებულს რაიონული საბჭოს საპატიო წევრად აირჩევენ.

— სოფლად სპორტის ფართოდ დანერგვის მიზნით ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის შეჯიბრებას გავშლით, — გვითხრა „კოლმეურნის" რაიონული საბჭოს თავმჯდომარემ გ. გოგუამ. — გამარჯვებულ კოლექტივს საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა გადაეცემა. კოლექტივებს შემდეგ მოთხოვნებს ვუყენებთ: სპორტული ბაზების კეთილმოწყობა, დოკუმენტაციის მოწესრიგება, ფიზკულტურულ კოლექტივებში ქალთა დიდი რაოდენობით ჩაბმა, რაიონის ნაკრები გუნდებისთვის სპორტსმენთა მომზადება, შიდასაკოლექტივო შეჯიბრებების ორგანიზებულად ჩატარება და სხვ. გამარჯვებულად ჩაითვლება ის კოლექტივი, რომელსაც მეტი ხუთქულიანი შეფასება ექნება. ჩვენი მიზანია კარგ შედეგებს მივაღწიოთ რესპუბლიკურ შეჯიბრებებშიც. ჩვენი სპორტსმენები ცუდად არ გამოსულან „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს დღემდე გამართულ პირველობებში.

კვლავაც თავდადებით ვიბრძოლებთ სოფლად ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის შემდგომი ამაღლებისთვის.

ო. სალია.

წალენჯიხა. (ჩვენი კორ.).

# ფართოდ გაიშალა

პენზის ოლქის სამრეწველო საწარმოებში მომუშავე საზოგადოება „ტრუდის" წევრმა 2 ათასმა ფიზკულტურელმა უკვე ჩააბარა „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" კომპლექსის ნორმატივები სათხილამურო სპორტში.

ოლქის საწარმოებში ფართოდ გაიშალა ახალი ფიზკულტურული კომპლექსის პროპაგანდა. საქმიანად მიმდინარეობს ნორმატივების ჩასაბარებლად მზადება და თვით გამოცდებიც. პენზის საათების ქარხანაში დამუშავებულია ღონისძიებები შეჯიბრებებში მშრომელთა რაც შეიძლება ფართო მასების ჩასაბმელად. თვალსაჩინო ადგილზეა გამოკრული ნორმატივების ცხრილები, საწვრთნელი მეცადინეობებისა და ჩაბარების განრიგი. შექმნილია სპეციალური კომისია, რომელსაც საწარმოს მთავარი ინჟინერი ხელმძღვანელობს.

მშდ ახალ კომპლექსს ფართო პროპაგანდას უწევენ ქარხნის მრავალტირაჟიანი გაზეთი, რადიო.

# ოლიმპიელი სარბიელზე არ გამოსულა

თბილისის სამხედრო-მონადირეთა საზოგადოების სტენდზე გაიმართა ქალაქის პირველობა. სარბიელზე მხოლოდ არმიელ მონადირეთა საზოგადოებისა და „ლოკომოტივის" გუნდები გამოვიდნენ. თანაც, მრგვალ სტენდზე შეჯიბრებაში როგორც ერთი, ისე მეორე კოლექტივი მთლიანად როდი იყო დაკომპლექტებული. სხვა საზოგადოებებმა გუნდები საერთოდ არ გამოიყვანეს. ეს ნიშნავს, რომ სასტენდო სროლის განვითარებას დედაქალაქში კვლავ გულგრილად ეკიდებიან.

ტურნირის პირველ დღეს კარგმა ამინდმა მაღალი შედეგების ჩვენებას შეუწყო ხელი. მაგალითად, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა, განთიადელმა თ. მატოიანმა 100-დან 98 ქულა მოაგროვა. მაგრამ მეორე დღეს ძლიერი ქარი ქროდა, ამიტომაც მსაჯთა კოლეგიამ პროგრამა გაანახევრა — სპორტსმენებმა 100-100 სამიზნის მაგიერ 50-50 მიიღეს. საბოლოოდ გამარჯვება მატოიანს დარჩა — 150-დან 140 ქულა. II ადგილზე გავიდა ახალგაზრდა არმიელი ა. სეროვი, რომელმაც პირველ დღეს 94 ქულით პირველად შეასრულა სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი. III ადგილი წილად ხვდა სეროვის მწვრთნელს ლ. სიმონიანს.

ადგილიდან სროლაში ჩემპიონი გახდა ვ. ალავერდოვი („ლოკომოტივი") — 128 ქულა, II-III ადგილებისთვის დამატებითი შეჯიბრება არ შედგა, ვინაიდან სასროლეთზე სინათლე გამოირთო. მსაჯთა კოლეგიამ ეს ადგილები საერთაშორისო ოსტატ ზ. მაჩხანელსა („ლოკომოტივი") და არმიელ მონადირეთა საზოგადოების წევრს ი. კონდრატიევს შორის გაანაწილა. ისინი გამარჯვებულს 2-2 ქულით ჩამორჩნენ.

გუნდური პირველობა არმიელმა სპორტსმენებმა დაისაკუთრეს. სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრების წევრი ტ. ჟღენტი შეჯიბრებაში ავადმყოფობის გამო არ მონაწილეობდა.

ჯ. მოწონელიძე,

საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

## • KOPANA • ФУТБОЛ • ფეხბურთი • LABDARUGAS •

### კუბალამ მიიწვია სუარესი!

ესპანეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ლ. კუბალამ გამოაქვეყნა გუნდის კანდიდატთა სია. ერთი ფეხბურთელის დასახელებამ გაოცება და დიდი გამოხმაურება გამოიწვია. ლაპარაკია 37 წლის ლ. სუარესზე, რომელმაც 1956-66 წლებში 32-ჯერ ითამაშა იტალიის ნაკრებში. უკვე 10 წელია, რაც ლ. სუარესი იტალიაში იმყოფება (ჯერ „ინტერში", შემდეგ — „სამპდორიაში"). მიმომხილველებს მიაჩნიათ, რომ სოლიდური ასაკის გამო ახლა სუარესი ველარ თამაშობს უწინდელი სიძლიერით, მაგრამ კუბალა მათ არ ეთანხმება.

● ●

### ფულადი ჯარიმა

დიდი ფულადი ჯარიმა გადაახდევინეს „ფკ მილანის" მწვრთნელს ნ. როკოს. როცა მისი გუნდი დამარცხდა „ტორინოსთან" (0:2), როკომ პრესაში გამოაქვეყნა წერილი, სადაც ათასნაირი ბრალდება წაუყენა შეხვედრის მსაჯს.

იტალიის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომისიამ მიიჩნია, რომ ბრალდება უსაფუძვლო იყო და როკოც უტაქტო საქციელისთვის დააჯარიმეს დიდი თანხით.

### ბონავენა — ფეხბურთის მენაჯერი

გამოჩენილი არგენტინელი მოკრივე ბონავენა, რომელიც მძიმე წონაში ერთ-ერთი უძლიერესია მსოფლიოში, ცნობილ კლუბ „ჰურაკანის" მენაჯერი გახდა. არგენტინელ მიმომხილველებს ეს კლუბისთვის კარგ ამბად მიაჩნიათ, ვინაიდან ფეხბურთზე შეყვარებული ბონავენა კრივში ბევრ მატჩს მართავს და შემოსავალს ძირითადად „ჰურაკანს" ახმარს. საყურადღებოა, რომ სწორედ ბონავენას ინიციატივითა და თანხებით შეიძინა ამ გუნდმა არაერთი პირველხარისხოვანი ფეხბურთელი.

# იტალიელი მწვრთნელის აზრით

ჩ. ვინიჩიმ, იტალიის ნაკრების ერთ-ერთმა მწვრთნელმა, ამას წინათ ჟურნალისტებთან საუბარში თავისი აზრი გამოთქვა ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალური მატჩების პრობლემებზე. აი ნაწყვეტები ამ საუბრიდან.

● რას ფიქრობთ იტალიელთა და ბელგიელთა მომავალ შეხვედრაზე?

ჩვენი უპირატესობა აშკარაა. უნდა გავიდეთ ნახევარფინალში.

● ბელგიელები სახიფათონი არ არიან?

არც ისე. ყოველ შემთხვევაში, მათთან თამაში ჩვენთვის უფრო ადვილია, ვიდრე რომელიმე სხვა მოწინააღმდეგესთან.

● აპირებთ თუ არა გუნდის გაახალგაზრდავებას?

ევროპის ჩემპიონატის დასასრულამდე რაიმე არსებითი ცვლილება გუნდში არაა მოსალოდნელი.

● თქვენი პროგნოზები მეოთხედფინალის დანარჩენი შეხვედრების შესახებ?

დასკვნით თამაშებში მოხვედრის საუკეთესო შესაძლებლობა აქვთ უნგრელებს. ვერავინ გეტყვით, ვინ გაიმარჯვებს ინგლის — გფრ-ისა და სსრ კავშირ—იუგოსლავიის გუნდების შეხვედრებში.

● შეძლებენ იუგოსლავიელები საბჭოთა ნაკრებთან გამარჯვებას?

ეს ძნელი ამოცანაა. საბჭოთა ფეხბურთელები მეტისმეტად სახიფათონი არიან. ჩვენ, მაგალითად, ნებისმიერ მეტოქესთან გვირჩევნია თამაში, ვიდრე საბჭოთა გუნდთან. ფინალს თუ მივაღწიეთ, კარგი იქნება იქ რომ საბჭოთა ნაკრები არ დაგვხვდებოდეს.

● რატომ თამაშობთ ბელგიელებთან ნეაპოლში?

ყველა მატჩს სათანადო განწყობილება ჭირდება. იტალიელებს ასეთ განწყობილებას ნეაპოლელები უფრო შეუქმნიან, ვიდრე რომის ან მილანის გულშემატკივრები.

# თ. ა. სტეფანია



ძნელია ახსენო ეს საშინელი სიტყვა — სიკვდილი, როცა ლაპარაკია 22 წლის, ახალგაზრდა, ჯან-ღონითა და სიცოცხლით სავსე ადამიანზე, ჯერ კიდევ ჭაბუკზე, რომელმაც თავისი ნიჭის, ენერგიისა და მუყაითობის წყალობით აიდგა ფეხი, გამოვიდა ფართო მოქალაქეობრივ ასპარეზზე და შეუდგა იმ კეთილშობილურ გზას, რომელიც მას დაუსახეს მშობლებმა, სკოლამ, უმაღლესმა სასწავლებელმა, მეგობრებმა. ძნელია 22 წლის ასაკში მოიპოვო ის აღიარება, ხალხის ის სიყვარული, რომელიც მოპოვებული ჰქონდა თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის მეკარეს, სპორტის ოსტატ თ. სტეფანიას და მით უმეტეს საწყენია სიკვდილი, როცა ასეთი ადამიანი ბრმა საგზაო ავარიის მსხვერპლი ხდება.

თეიმურაზ ამირანის ძე სტეფანია დაიბადა 1950 წელს ბოლნისში. თამაში დაიწყო აქვე, სპორტსკოლაში. ნიჭიერი მეკარის შესანიშნავი მონაცემები, მისი ენერგია და შესაძლებლობანი მხედველობიდან არ გამოჰპარვიათ ფეხბურთის სპეციალისტებს, მწვრთნელებს, და ნორჩი ფეხბურთელი მოიწვიეს თბილისის ახალგაზრდულ საფეხბურთო სკოლაში. შემდეგ თ. სტეფანიამ მკვიდრად დაიკავა ადგილი საქართველოს მოზარდთა ნაკრებ გუნდში, იყო სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრების მეკარე.

1968 წელს თ. სტეფანია გორის „დილაში" მიიწვიეს და თითქმის სამი სეზონის განმავლობაში წარმატებით იცავდა ამ გუნდის ღირსებას საკავშირო სარბიელზე მეორე ლიგის გუნდებს შორის. გორელი გულშემატკივრები ახლაც დიდი მადლიერებით იხსენებენ თავიანთ ახალგაზრდა მეკარეს, რომელიც კვალიფიციური, მონდომებული თამაშით ხელს უწყობდა მათი გუნდის წარმატებას.

მეორე ლიგის მატჩები დიდი და სახარვებლო სკოლა იყო თ. სტეფანიასთვის და როცა იგი 1970 წლის სეზონში თბილისის „დინამოში" გადმოიყვანეს, ყველასთვის ნათელი გახდა, რომ ჩვენს გუნდს შეემატა პერსპექტიული, საიმედო კარის დარაჯი.

ჩვენ კარგად გვახსოვს ის მძიმე კრიზისი, რომელიც შარშან ჰქონდა თბილისის „დინამოს". სწორედ იმ კრიტიკულ ვითარებაში მიანდო გუნდის ხელმძღვანელობამ დინამოელთა პრესტიჟის დაცვა ახალგაზრდა მოთამაშეების თაობას, ჯერ გამოუცდელ, მაგრამ კარგი მომავლის მქონე ჭაბუკებს და მათ შორის, ვინც მთლიანად გაამართლა ეს ნდობა, გულშემატკივართა და სპეციალისტთა იმედები, იყო თეიმურაზ სტეფანია. 1971 წელს თეიმურაზ სტეფანიამ მოიპოვა სპორტის ოსტატის წოდება, მიიღო მაღალი ჯილდო — სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი.

ადვილი არ არის საქართველოს ფეხბურთის მოყვარულთა სიმპათიის მოპოვება ახალგაზრდა მეკარისთვის. იქ, სადაც თამაშობდნენ ა. დოროხოვი, ა. ტუებუჩავა, ს. შუდრა, ვ. სანაია, ვ. მარღანია, ს. კოტრიკაძე, რ. ურუშაძე და სხვანი, ახალბედაც ისეთივე ნათელი ნიჭისა და მონაცემების, მაღალი ოსტატობისა და ერთგულების მქონე უნდა იყოს. თეიმურაზ სტეფანია კი სწორედ ასეთი ნიჭიერი და ერთგული სპორტსმენი გახლდათ.

მოკლე, ერთობ მოკლე გამოდგა ამ ბოლნისელი ბიჭის გზა. მას აწი უნდა ეთქვა თავისი საფუძვლიანი სიტყვა დიდ ფეხბურთში და მით უფრო დასანანია ასეთი ნაადრევი, გულსატკენი გამოთხოვება სიცოცხლესთან.

„დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია.



სურათზე: ასე თამაშობდა თბილისის „დინამოს" მეკარე თეიმურაზ სტეფანია.

# აშშ თუ პოლონეთი?

ბუქარესტში მიმდინარეობს მსოფლიო ჩემპიონატი „ბ" ჯგუფის ჰოკეისტთა გუნდებს შორის. სენსაციურად წარიმართა გდრ-ისა და იუგოსლავიის კოლექტივების მატჩის პირველი პერიოდი. იუგოსლავიელები „მშრალი" ანგარიშით იგებდნენ (3:0), მაგრამ შემდეგ გდრ-ის წარმომადგენლებმა თამაშში გარდატეხა შეიტანეს და გაიმარჯვეს — 4:3. პოლონელებმა შედარებით იოლად დაამარცხეს იაპონელები — 11:1, ხოლო რუმინელებმა მოულოდნელად ასევე იოლად მოუგეს ნორვეგიელებს — 7:2.

პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა გდრ-ისა და აშშ-ს გუნდების მატჩს. მანამდე ორივე გუნდი დაუმარცხებლად იბრძოდა. დაძაბულ და საინტერესო ბრძოლაში მინიმალური ანგარიშით გაიმარჯვეს ამერიკელებმა — 6:5.

შეჯიბრების მეექვსე დღეს ამერიკელებმა დაამარცხეს ნორვეგიელები — 5:1, პოლონელებმა მოუგეს იუგოსლავიელებს — 5:3, ხოლო გდრ-ის ჰოკეისტებმა აჯობეს რუმინელებს — 8:3.

ექვსი დღის ბრძოლის შემდეგ 8-8 ქულა მოაგროვეს აშშ-სა და პოლონეთის ჰოკეისტებმა. 6 ქულა აქვთ გდრ-ის სპორტსმენებს.

რედაქტორის მოადგილე

ზ. ჯაფარიძე.

ИНДЕКС-66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. უე 02590